



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL**

ოქმი № 18 „ 20 „ 12 2018 ♣

**დადგენილება № 79**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
 ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის  
 გამოცხადების, საკონკურსო პირობების და საბუთების მიმღები სამდივნოს შემადგენლობის დამტკიცების  
 შესახებ

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და 35-ე მუხლის მე-2 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-5, მე-6, 22-ე პუნქტებისა და 27-ე მუხლის, აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს კონკურსი ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შემდეგი მიმართულებით:  
 - ბიზნესის ადმინისტრირება:  
 მენეჯმენტი - 1 ასოცირებული პროფესორი
2. კონკურსი გამოცხადდეს 2018 წლის 20 დეკემბერს, საბუთების მიღების ვადა განისაზღვროს 2019 წლის 21 იანვრიდან 4 თებერვლამდე.
3. დამტკიცდეს საკონკურსო პირობები თანდართული სახით.
4. დამტკიცდეს საბუთების მიმღები სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:
  - გიული ზედგინიძე - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის მ.შ.
  - ნანა ხითარიშვილი - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების სპეციალისტის მ.შ.
5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ჩაბარდეს შესაბამის ფაკულტეტებს.
7. საფუძველი: ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტების საბჭოს 2018 წლის 10 დეკემბრის დადგენილება # 11/01.
8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზღვილის ქ. N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
 რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მკა ბერიძე